ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,ლევან კილაძის, ანგარიში 2016 გაწეული საქმიანობის შესახებ.

2014 წლის 2 აგვისტოდან ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოფელ მელექედურის მაჟორიტარი დეპუტატი. ასევე ვარ ამავე საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნების", „განათლების,კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა", „ ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა" და „ქონებრივ,აგრარულ საკითხთა და ბუნებრივი რესურსების" კომისიების წევრი.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე 22 საკრებულოს სხდომაში, რომელთა მიმდინარეობის დროს განხილულ იქნა 101 საკითხი, მიღებული იქნა 73 განკარგულება და დამტკიცდა 28 დადგენილება.

ასევე მაქვს მონაწილეობა მიღებული ფრაქციის 12 სხდომაში და კომისიების 24-24 სხდომაში.

საანგარიშო პერიოდში მოსახლეობასთან ვატარებდი მიღებებსა და შეხვედრებს, რომელთა მიმდინარეობის დროს გვიწევდა საუბარი სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე. გამოიკვეთა შემდგომი პრობლემები:

1) შიდა გზები.
2) გარე განათება.
3) გაზიფიცირება.
4) სანიაღვრე არხები.
5) სხვადასხვა სოციალური დახმარებები.

სოფლის პროგრამით გათვალისწინებული თანხა სასოფლო კრების გადაწყვეტილებით მოხმარდა:

N მე-5 უბანზე ბეტონის გზის 100 მეტრიანი მონაკვეთის, N მე-6 უბანზე ბეტონის გზის 45 მეტრიანი მონაკვეთის და N მე-2 უბანზე ბეტონის გზის 25 მეტრიანი მონაკვეთის დაგებას. ასევე მე-3 უბანზე მოეწყო გარე განათება

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალით დავეხმარეთ 7 ოჯახს.

სამედიცინო თუ სოციალური მომსახურების პროგრამებიდან დახმარება გაეწია 67 ადამიანს.

მინდა აღვნიშნო, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც მელექედურის მოსახლეობას აწუხებდა-მდინარე ნატანების ნაპირსამაგრი სამუშაოები დღეს დასრულების ფაზაშია.

ლ. კილაძე